გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 178
2022 წლის 17 ოქტომბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირის - ფ/პ ნინო ყანჩაველისთვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, მათ შორის, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ ნინო ყანჩაველს შორის 2020 წლის 20 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებით, ფ/პ ნინო ყანჩაველს გადაცემული აქვს ქალაქ გორში, სტალინის გამზირის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.45.21.218; 33 კვ.მ.) გარე ვაჭრობის განსახორციელებლად. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია და ფუნქციონირებს კაფე. ხელშეკრულების მიხედვით ფ/პ ნინო ყანჩაველს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა იჯარის თანხა 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც დაეკისრებოდა პირგასამტეხლო იჯარის თანხის გადაუხდელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით (მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა) დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნულის ფარგლებში, 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეებში იჯარის თანხის გადახდის დაგვიანების გამო, ფ/პ ნინო ყანჩაველს დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ნინო ყანჩაველის 2022 წლის 5 სექტემბრის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან იჯარის ქირის თანხას იხდიდა ყოველთვიურად განსაზღვრულ ვადებში. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეებში იჯარის ქირის თანხა შეცდომით გადარიცხა სხვა სახაზინო კოდზე (წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რის გამოც დაეკისრა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლო. განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეებში არასწორად გადარიცხული იჯარის ქირის თანხის შესაბამისი თანხა (600 ლარი) გადაიხადა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ (წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) და ითხოვს დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას, რაც, მითითებული დარღვევის მიზეზის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირი - ფ/პ ნინო ყანჩაველი გათავისუფლდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ ნინო ყანჩაველს შორის 2020 წლის 20 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეების განმავლობაში დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ჯამში 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირი - ფ/პ ნინო ყანჩაველი გათავისუფლდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ ნინო ყანჩაველს შორის 2020 წლის 20 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეების განმავლობაში დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ჯამში 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე